ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6069850

ნომერი: AR1912137

თარიღი : 16.07.2022

გაცემის თარიღი : 05.08.2022

გაცნობის თარიღი : 05.10.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა, N 41;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ ჩახუნაშვილი პ/ნ 01024061809
- ქ. თბილისი, პეკინის გამზ. მე-2 კვ. კორპ #10, ბინა #46

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 16 ივნისის №5962450 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 16 ივლისს №AR1912137 განცხადებით მომართა თამაზ ჩახუნაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022

წლის 16 ივნისის №5962450 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება დამკვეთის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 16 ივნისის №5962450 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა №41-ში მდებარე №01.19.20.003.005 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 16 ივნისიდან 2025 წლის 16 მარტის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2022 წლის 18 ივლისის №6040753 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2022 წლის 16 ივნისის №5962450 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით და ჩანაცვლდა „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილების მიხედვით დამუშავებული +3.60 და +6.900 ნიშნულის გეგმები (40-41 ფურცლები).
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2022 წლის 16 ივნისის №5962450 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ველში შპს „ორიონის" ნაცვლად შპს „ეიმ კომპანის" დაფიქსირება, ვინაიდან აღნიშნული მშენებლობის ნებართვის გაცემის მომენტისთვის შპს „ორიონის" (ს/ნ: 208148592) საფირმო სახელწოდებას უკვე წარმოადგენდა შპს „ეიმ კომპანი" (ს/ნ: 208148592).
სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადმოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B22055029, მომზადების თარიღი: 11/05/2022 წ.) თანახმად, შპს „ორიონის" საფირმო სახელწოდებას, სამსახურის 2022 წლის 16 ივნისის №5962450 ბრძანების გამოცემის დროს, უკვე წარმოადგენდა შპს „ეიმ კომპანი" (ს/ნ: 208148592). ამასთან, საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია – №882022528970, მომზადების თარიღი: 25/07/2022 წ.) თანახმად №01.19.20.003.005 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ დაფიქსირებულია შპს „ეიმ კომპანი" (ს/ნ: 208148592).
სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 15 ოქტომბრის №5605719 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ველში არასწორად დაფიქსირდა დამკვეთის საფირმო სახელწოდება, ვინაიდან აღნიშნული ბრძანების გამოცემის დროისთვის (16.06.2022 წ.), საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრის საფირმო სახელწოდებას უკვე შპს „ეიმ კომპანი" (ს/ნ: 208148592) წარმოადგენდა (2022 წლის 11 მაისიდან), რაც დასტურდება ზემოაღნიშნული მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 16 ივნისის №5962450 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 16 ივნისის №5962450 ბრძანებაში და დამკვეთის ინფორმაციის ველში შპს „ორიონის" ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „ეიმ კომპანი".
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 16 ივნისის №5962450 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 16 ივნისის №5962450 და 2022 წლის 18 ივლისის №6040753 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.